გრასის დეზინფორმაციის ბრიფი: აგვისტოს გამოშვება

- **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა იგეგმება;**
- **„ქართული ოცნება“ 2008 წლის ომში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ადანაშაულებს;**
- **„ქართული ოცნება“ საარჩევნო კამპანიას განაგრძობს და ირწმუნება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა რეპრესიებისთვის, „ლგბტ პროპაგანდისგან“ ქვეყნის დასაცავად, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად სჭირდება;**
- **მმართველი პარტია საერთაშორისო დონორებზე ზეწოლას განაგრძობს და უცხოურ ჩარევაზე საუბრობს;**
- **„ქართული ოცნება“ ამბობს, რომ აშშ-თან კავშირები მაშინ აღდგება, როდესაც ვაშინგტონი რევოლუციის მოწყობის მცდელობებს შეწყვეტს;**
  წლის აგვისტოს ომის შესახებ მმართველი პარტიის ნარატივი პროკრემლისტურ პროპაგანდას აძლიერებს;
- **პროკრემლისტური პროპაგანდა საუბრობს ევროკავშირის გეგმებზე, გამოიყენოს, არიოს და გაანადგუროს საქართველო;**
- **პროკრემლისტური ჯგუფები იმეორებენ მმართველი პარტიის ნარატივს, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებში აშშ-ს ადანაშაულებენ;**
- **პროკრემლისტური ჯგუფების მტკიცებით, რუსეთთან მოკავშირეობის გარეშე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია.**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა იგეგმება

გასული თვეების განმავლობაში, მმართველი პარტიის წარმომადგენლები და პარტიასთან აფილირებული ჯგუფები ირწმუნებოდნენ, რომ „გლობალური ომის პარტია“, სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის მეშვეობით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს სიკვდილით დაემუქრა და, ასევე, სწორედ „ომის პარტიამ“ განახორციელა აშშ-ის რესპუბლიკელი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატზე, დონალდ ტრამპსა, და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე, რობერტ ფიცოზე, თავდასხმები. ივლისის ბოლოს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო გამოძიება „ტერორისტული აქტის მომზადებისა და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე.“ სუს-ის ცნობით, უკრაინაში მყოფი საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების დაფინანსებით, მზადდებოდა დანაშაულებრივი ქმედებები, მათ შორის, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მკვლელობა. განცხადება მმართველი პარტიის დამფუძნებლისთვის საკმარისად საფრთხის შემცველი აღმოჩნდა, რომ საზოგადოების წინაშე ტყვიაგაუმტარი შუშის უკან წარდგენილიყო. ამ დროისთვის, არავინ დაუკავებიათ, ხოლო სუს-ს კვლავ არ წარუდგენია მტკიცებულება აღნიშნული შეთქმულების თეორიის დასადასტურებლად.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის შეფასებით, სუს-ის გაფრთხილება „უაღრესად შემაშფოთებელია“ და დონალდ ტრამპსა და რობერტ ფიცოზე განხორციელებული თავდასხმებიც ერთი და იმავე გლობალური პოლიტიკური ძალების ხელწერას ჰგავს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, როდესაც ევროკომისარმა (ოლივერ ვარჰეი) ის სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის ინციდენტის მსგავსი ტერაქტის შესახებ გააფრთხილა, კომისარი ერთგვარი „მესენჯერი“ იყო, რომელიც „გლობალური პოლიტიკური ძალების“ ცნობებით მუშაობდა. გარკვეული ჯგუფებისთვის საქართველოს პოზიცია უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით მიუღებელია. აქედან გამომდინარე, **გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს არაკეთილმოსურნეები ბიძინა ივანიშვილს ესხმიან თავს, რადგან ეს უკანასკნელი ქვეყანაში მშვიდობის გარანტია და „მეორე ფრონტის“ გახსნის საშუალებას არავის არ აძლევს.**

- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ სუს-ის განცხადება არაა გასაკვირი, ვინაიდან ოპოზიცია ყველაფერზე წამსვლელია, პაპუაშვილის მტკიცებით, ოპოზიციური პარტიები უცხოურ დაზვერვის სამსახურებთან კოორდინაციით მოქმედებენ და სწორედ **უკრაინის სამხედრო დაზვერვის სამსახურის დახმარებით შემოაპარეს ყოფილი პრეზიდენტი მხეილ სააკაშვილი ქვეყანაში, რამაც საქართველო კინაღამ სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩაითრია.** სუს-ი რომ არა, რომელმაც მყისიერად დააპატიმრა სააკაშვილი 2021 წელს, საქართველო ქაოსში გაეხვეოდა, გარკვეული ჯგუფები ტყვიას გაისვრიდნენ და უცხო ქვეყნის ტანკები დადგებოდნენ.
- „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი და თბილისის მერი კახა კალაძე ირწმუნებოდა, რომ საქართველოში არიან რადიკალები, რომლებიც მზად არიან, ყველაფერი იკადრონ, რათა ძალაუფლება მოიპოვონ. კალაძემ ასევე გაიხსენა რობერტ ფიცოსა და დონალდ ტრამპზე თავდასხმებიც და განმარტა, რომ **ბინძური ძალა საქართველოში, რომელიც ყველაფრის მკადრებელია, უცხოეთიდან ფინანსდება და მფარველები ჰყავს უცხოეთში.**
- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, სუს-ის განცხადება შემთხვევით არ დაემთხვა რობერტ ფიცოსა და დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობებს. აღნიშნული თავდასხმები, ევროკომისრების გაფრთხილებებთან ერთად და **ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერაქტის მომზადების ცნობასთან დაკავშირებით, ფსევდოლიბერალური ფაშისტური გეგმის ნაწილია.**
- თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ჩიქოვანმა განაცხადა, რომ საქართველოს მტრებს სურთ, ქვეყნის სტაბილურობის მთავარი გარანტი - ბიძინა ივანიშვილი - მოიშორონ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მცდელობა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატი დიტო სამხარაძე, რომელმაც აღიარა, რომ გარკვეული მედიებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ოფისებზე განხორციელებული ვანდალიზმის უკან იდგა, სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ პოსტში წერდა, რომ ოპოზიციურ პარტიებს ბოლო, რაც დარჩათ, ტერორისტული აქტის მოწყობაა, რადგან ვერ მოახდინეს რევოლუცია, მწარედ აგებენ არჩევნებს და ხალხს ისინი ეზიზღება. მისი მტკიცებით, „ერთიან ნაციონალურ ტერორისტულ მოძრაობას ბევრი ქართველის სისხლი აქვთ დაღვრილი, ავადმყოფი მანიაკებისგან დაკომპლექტებული სინდიკატია“ და **არჩევნების შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გასამართლებას ვერ ასცდება.** ამასთანავე, დეპუტატმა 2008 წელს საქართველოში რუსეთის შემოჭრაში „ენმ“ დაადანაშაულა და განაცხადა, რომ **სააკაშვილის ხელისუფლებამ ომი უცხო ძალების დავალებით დაიწყო.**

ოპოზიციონერი პოლიტიკოსები „აგენტურას“ წარმოადგენენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ „თბილისის ციდან ბომბები ცვიოდეს“.

- გურამ მაჭარაშვილი, მმართველი პარტიის რადიკალური, ანტიდასავლური ფრთის, მოძრაობა „ხალხის ძალის“, ერთ-ერთი ლიდერი, ირწმუნებოდა, რომ გასული თვეების განმავლობაში, **სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოსა და აშშ-ის საპრეზიდენტო კანდიდატ დონალდ ტრამპის წინააღმდეგ თავდასხმები მომზადდა, რადგან ორივე მათგანი მშვიდობისა და ტრადიციული ღირებულებებისთვის იბრძვის, ბიძინა ივანიშვილის მსგავსად,** რაც სუს-ის განცხადებას „ბუნებრივად დამაჯერებელს“ ხდის. აგრეთვე, დეპუტატის განცხადებით, სუს-მა ქვეყანას აარიდა არაერთი რადიკალური პროცესი, რევოლუციური სცენარი და ტერორისტული აქტი, რაც კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას მატებს აღნიშნულ გაფრთხილებას.

„ქართული ოცნება“ 2008 წლის ომში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ადანაშაულებს

რუსეთის საქართველოში შემოჭრის მე-16 წლისთავზე, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ რამდენიმე განცხადება გაავრცელა. პარტიამ ქვეყნის რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ყოფილი მმართველი პარტიის საომარი დანაშაულები გამოსაძიებელია, რაზეც „ხალხის ძალა“ იანვრიდან საუბრობს.

აგვისტოს გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, მმართველი პარტია 2008 წელს „ენმ-ის“ მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილ დანაშაულზე სიღრმისეულად საუბარს თავს არიდებდა, რადგან წლების განმავლობაში მიმდინარეობა საერთაშორისო სასამართლო პროცესები სტრასბურგსა და ჰააგაში, რომლებიც, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ძალისხმევით, საქართველო გამარჯვებით დასრულდა. მმართველი პარტია წერს, რომ ახლა, როდესაც საკითხი საერთაშორისო დონეზეა გადაწყვეტილი, დროა, საზოგადოებამ სრული სიმართლე გაიგოს. **„ენმ-ის“ მოღალატეობრივ დანაშაულს უმძიმესი შედეგები მოჰყვა და ამ მასშტაბის დანაშაული სამართლებრივი შეფასების გარეშე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.** „ქართული ოცნების“ მტკიცებით, დღესდღეობით, „ენმ-ის“ წევრები რუსეთის საქართველოში შემოჭრის თარიღად 7 აგვისტოს აცხადებენ, რათა პარტიის დანაშაული დაფარონ. თუმცა, ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტების თანახმად, რუსი სამხედროები და რუსული სამხედრო ტექნიკა საქართველოში როკის გვირაბის გავლით 8 აგვისტოს შემოვიდნენ. ამასთანავე, „ენმ-მ“ ხელი მოაწერა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც ესკალაციას ღია და სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებში ქართულ მხარეს ადანაშაულებდა. განცხადების დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ „ენმ“ კვლავ მონდომებით ცდილობს საქართველო რუსეთ-უკრაინის ომში ჩარიოს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ **„ენმ-მ“ 2008 წელსაც გააზრებულად მოაწყო უმძიმესი პროვოკაცია და გარედან მიღებული ანტისახელმწიფოებრივი დავალება გააზრებულად შეასრულა.**

- „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს 13 აგვისტოს განცხადებაში მმართველი პარტია ირწმუნება, რომ სააკაშვილის ქმედებებმა, კონკრეტულად **თავდასხმამ რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალებზე, რუსეთს მიანიჭა სამართლებრივი უფლება, შემოსულიყო საქართველოს ტერიტორიაზე,** რამაც ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია გამოიწვია. „ქართული ოცნება“ იხსენებს პუტინის განცხადებას, რომლის თანახმადაც, რუსეთის

„ქართული ოპერაციის“ გეგმა ჯერ კიდევ 2007 წელს არსებობდა. **მმართველი პარტია განმარტავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების განუწყვეტელი სამხედრო პროვოკაციები გახდა ზემოაღნიშნულის მიზეზი.** სააკაშვილი და მისი მფარველები ხვდებოდნენ, რომ საჭირო იყო ბევრად უფრო აგრესიული და მასშტაბური ქმედებები ომის დასაწყებად. მსგავსი მომენტი სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის 7 აგვისტოს შექმნა, როდესაც ცხინვალზე განხორციელებული საარტილერიო შეტევის შედეგად, რუსული ჯარი საქართველოში შემოვიდა. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ **სააკაშვილის ქმედებები 2008 წლის აგვისტოში არა მისი ფსიქიკური გაუწონასწორებლობის, არამედ გარედან დაკვეთილი და კარგად დაგეგმილი ღალატის შედეგი იყო.** „საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, წარიმართოს საჯარო სამართლებრივი პროცესი და საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს, ვინ ჩაიდინა უმძიმესი მოღალატეობრივი დანაშაული ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე,“ - წერია განცხადებაში.

გაეროში რუსეთის ელჩი დიმიტრი პოლიანსკი „ქართული ოცნების“ 13 აგვისტოს განცხადებას ციტირებდა, როდესაც აღნიშნა: „უბრალოდ, სცადეთ, გაიხსენოთ ეს სიტყვები, როდესაც ჩემი დასავლელი კოლეგები მოგვიანებით ამ ტრიბუნასთან მოვლენ და მოგატყუებენ იმის შესახებ, თუ რა მოხდა.“

აგრეთვე, ნიკოლაი პატრუშევმა, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ და ყოფილმა უშიშროების საბჭოს მდივანმა, განაცხადა, რომ „სააკაშვილის სამხედრო ავანტიურა“ 2008 წლის აგვისტოში აშშ-მა დააფინანსა და საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე კონტროლიც სწორედ აშშ-ის პირდაპირმა ჩარევამ დააკარგვინა.

- „ქართული ოცნების“ განცხადებას პარტიის ანტიდასავლური ფრთის, მოძრაობა „ხალხის ძალის“, განცხადებაც მოჰყვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ **2008 წლის ომი არ ყოფილა სპონტანური დანაშაული, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ არა რუსეთი, არამედ „ენმ“ ომისთვის სამი წლის განმავლობაში ემზადებოდა.** „ენმ-მ“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე დაიწყო პროვოკაციების სერია - 2005 წელს მიიღო კანონი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ“; სააკაშვილის რეჟიმის ორგანიზებით, აირჩა სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული პრეზიდენტი და შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის პროვოკაციულ ქმედებებს ახორციელებდნენ; კოდორის ხეობის ადგილობრივი მცველები საქართველოს სახელმწიფოსთვის გადაცემაზე უარს ამბობდნენ] ტერიტორიიდან გააძევეს, ხოლო ტერიტორიაზე შინაგანი ჯარი და სამხედრო ტექნიკა შეიყვანეს. საბოლოოდ, სააკაშვილის რეჟიმმა 7 აგვისტოს ცხინვალის მასირებული დაბომბვა დაიწყო, რათა კონფლიქტი გაეხსნა. **აღნიშნულის მიზანი ომის პროვოცირება, ტერიტორიების დათმობა, კონფლიქტის გრძელვადიანი გაყინვა და რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების თითქმის შეუძლებლად ქცევა იყო,** რაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს პირდაპირ და უხეშად ეწინააღმდეგებოდა. „ხალხის ძალა“ ამტკიცებს, რომ ვინაიდან „ენმ-ს“ ხალხის ნდობის აღდგენის შანსი არ აქვს, პარტიის პატრონებმა ის რამდენიმე პარტიად დაშალეს. აქედან გამომდინარე, **ოპოზიციური პარტიები „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენენ, რის გამოც არჩევნების შემდეგ აუცილებელია, რომ ყველა დანაშაულისთვის კანონის მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი.**

- „ერთიანმა ნეიტრალურმა საქართველომ“, რომელიც მმართველ პარტიასთან დაახლოებულმა პირებმა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საწინააღმდეგო კამპანიის საწარმოებლად შექმნეს, აგრეთვე გამოაქვეყნა განცხადება რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა მოძრაობამ ასევე გაიმეორა „ქართული ოცნების“ ნარატივი, თუმცა უფრო მკაცი ანტიდასავლური კონოტაციით. განცხადების თანახმად, აშშ-ის მმართველი ძალების მიერ წაქეზებული საქართველოს მარიონეტული მთავრობა, საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ინტერესების წინააღმდეგ, 2008 წელს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში შევიდა. „**საერთაშორისო პატრონები აშშ, ევროკავშირის და NATO-ს ოფისებიდან ცრუ დაპირებებით კვებავდნენ ნაციონალურ მოძრაობას, სრული მხარდაჭერის იმედით.“** ომით გამოწვეული გამანადგურებელი შედეგების ფონზე, პარტნიორებმა საწინააღმდეგოს მტკიცება დაიწყეს. აუცილებლად გახდებოდა ალიანსის წევრი; თუმცა 16 წლის განმავლობაში აღნიშნული მტკიცება დაპირებად დარჩა. **„NATO-ს სამხედრო ბლოკის შემოსვლა სამხრეთ კავკასიაში იმთავითვე უტოპიური იყო და ყალბი დაპირებები, მხოლოდ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ გამოყენების მიზნით გაიცემოდა.“** 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე აშშ-მა საქართველოსა და უკრაინას მოატყუეს. **ასევე, სწორედ აშშ-ის მმართველმა ძალებმა ამ ქვეყნებს კონსტიტუციაში ევროატლანტიკური ინტეგრაციის „საბედისწერო“ მუხლი შეატანინეს, რომელიც მათ ხელს უშლის პრაგმატული საგარეო პოლიტიკის წარმართვაში** და მიჯაჭვულნი არიან იმ გაერთიანებებზე, სადაც ვერასოდეს შევლენ. ომის თავიდან ასარიდებლად, **საქართველომ მეზობელ ქვეყნებთან უნდა აწარმოოს პრაგმატული პოლიტიკა და ნეიტრალიტეტით დაიცვას ქვეყნის ინტერესები,** „გლობალური ლიბერალური ცენტრის“ ინტერესებისა და ინსტრუქციების გატარების ნაცვლად.

„ქართული ოცნება“ საარჩევნო კამპანიას განაგრძობს და ირწმუნება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა რეპრესიებისთვის, „ლგბტ პროპაგანდისგან“ ქვეყნის დასაცავად, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად სჭირდება

„ქართული ოცნების“ 20 აგვისტოს გაცხადებაში პარტია განმარტავს, თუ რატომ უნდა მიანიჭოს მმართველ პარტიას ქართველმა ხალხმა საკონსტიტუციო უმრავლესობა ოქტომბრის არჩევნებში. წერილობით განცხადებაში მოყვანილი დაპირებები და ნარატივები „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის საბაზისო არგუმენტებს შეიცავს, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ სხვა მაღალჩინოსნები მუდმივად იმეორებდნენ მცხეთაში, ამბროლაურსა და ოზურგეთში ჩატარებულ ღონისძიებებზე.

- „ქართული ოცნების“ განცხადებით, საქართველო ომის საშიშროების წინაშე დგას, რის გამოც პარტიის ძირითადი მოკლევადიანი მიზანი კონფლიქტის თავიდან არიდებაა. ერთი მცირე გადაცდომა საკმარისია, რომ ქვეყანა ერთიანად დავკარგოთ. **ქვეყნის არაკეთილმოსურნეები კიდევ ერთხელ ეცდებიან ქვეყნის არევას, ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნებასა და საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნას.** რაც უფრო დიდი იქნება „ქართული ოცნების“ საარჩევნო მხარდაჭერა, მით უფრო მშვიდი იქნება ქვეყანა. ამასთანავე, რაც უფრო მეტ ხმას მიიღებს მმართველი პარტია, მით უფრო სწრაფად

და ეფექტიანად გადაიტვირთება საქართველოს ურთიერთობები აშშ-თან და ევროკავშირთან.

- „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს ჰპირდება, რომ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემთხვევაში, პარტია **„ენმ-სა“ და მის ყველა სატელიტს არაკონსტიტუციურად გამოაცხადებს.** მმართველი პარტია განმარტავს, რომ „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ 12 წელია უცხოელი მფარველები იცავენ, რაც რეჟიმის გასამართლებას გადამწყვეტ წინაღობას უქმნის. აღნიშნული ძალები საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კამპანიების ადგილობრივ და საერთაშორისო კოორდინაციას ახორციელებენ, მათ შორის - „მეორე ფრონტის“ კამპანიასაც. თუმცა დღეს ქვეყანა სუვერენული და ძლიერია, რათა ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა გაატაროს. პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე „იმედთან“ ინტერვიუში ირწმუნებოდა, რომ პოლიტიკური პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადება და მათი პოლიტიკაში მონაწილეობისთვის ხელის შეშლა ევროპული პრაქტიკაა - გერმანიამ იგივე ნაბიჯი განახორციელა ნაცისტების წინააღმდეგ 1945 წელს და მსგავსი პოლიტიკა გაატარა უკრაინამ და მოლდოვამ ბოლო წლებში. ნაცისტებსა და „ენმ-ს“ შორის პარალელი ბიძინა ივანიშვილმაც გაავლო და განაცხადა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ნიურნბერგის პროცესად უნდა იქცეს.
- მმართველი პარტიის მტკიცებით, საქართველოში სრულფასოვანი არჩევნები არ ჩატარებულა, რადგან „ენმ“ დემოკრატიულ პროცესებს შლის. **ჯანსაღ დემოკრატიულ სისტემაში გარკვეული პერიოდულობით ერთმანეთს ხელისუფლებაში ერთმანეთზე უკეთესი პოლიტიკური ძალები უნდა ანაცვლებდნენ, რაც შეუძლებელია, სანამ „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ „ჯანსაღი ოპოზიციური ძალები“ ჩაანაცვლებენ.**
- პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია ადასტურებს, თუ როგორ მასობრივადაა გავრცელებული „ფსევდოლიბერალური იდეოლოგია“ და რა საფრთხეების წინაშე აყენებს ქართველ ხალხს. ამ იდეოლოგიის ერთადერთი მიზანი ღირსებისგან, მორალისგან და ყოველგვარი იდენტობისგან ადამიანის დაცლაა. ის ცდილობს, რომ ადამიანებს დაავიწყოს მათი ფესვები, საკუთარი ქვეყნის ისტორია და წაართვას ეროვნული, რელიგიური და პიროვნული იდენტობა. **საკონსტიტუციო უმრავლსობის მოპოვება „ქართულ ოცნებას“ მისცემს კონსტიტუციური კანონპროექტის „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ მიღებას, რაც ეფექტიანად დაიცავს ქართულ საზოგადოებას „ლგბტ პროპაგანდისგან.“**
- „ქართული ოცნება“ ირწმუნება, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნითაც სჭირდება. ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის შემთხვევაში, აუცილებელი გახდება საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება, რათა საქართველოს მმართველობის სისტემა და ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა ახალ რეალობასთან მოვიდეს შესაბამისობაში. **ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივი მიდგომების გათვალისწინებით, ისინი ასეთ შემთხვევაშიც გარე დავალებებს შეასრულებენ** და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელ საკონსტიტუციო ცვლილებებს აუცილებლად წინ აღდგებიან. შესაბამისად, მმართველ პარტიას ესაჭროება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას ვერავინ შეუქმნას დაბრკოლება.

- მმართველმა პარტიამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება შესთავაზა. მღვდელმთავრები აღნიშნულ შეთავაზებას სკეპტიკური განცხადებებით გამოეხმაურნენ HYPERLINK "https://www.interpressnews.ge/ka/article/810366-meupe-grigoli-martlmadideblobis-saxelmcipo-religiad-gamocxadebis-iniciativaze-patriarkis-survilia-es-sakitxi-ase-dachkarebulia

მმართველი პარტია საერთაშორისო დონორებზე ზეწოლას განაგრძობს და უცხოურ ჩარევაზე საუბრობს

უკვე ხანდი ხანია, „ქართული ოცნების“ წევრები საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და ოპოზიციურ პარტიებს კიცხავენ. თუმცა აგვისტოს განმავლობაში, საერთაშორისო დონორები და დასავლური სახელმწიფოები, საქართველოს შიდა საქმეებსა და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩარევის ბრალდებით, მმართველი პარტიის არაერთმა მაღალი თანამდებობის პირმა დაადანაშაულა.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გივი მიქანაძემ ბრიფინგი გამართა, რომელზეც **„უცხოური ძალის მიერ წინასაარჩევნო პროცესებში უხეში ჩარევის რამდენიმე ფაქტზე“** ისაუბრა. დეპუტატის მტკიცებით, NDI-ის მიერ დაფინანსდა და დაორგანიზდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და მათი წარმომადგენლების შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ჩარევის მორიგი შემთხვევა იყო „დემოკრატიის ფესტივალი“,

რომელიც რეგიონებში „დანიის პარტიებისა და დემოკრატიის ინსტიტუტების“ დაფინანსებით ჩატარდა, რომელიც თავად დანიის სახელმწიფო ბიუჯეტით ფინანსდება. ფესტივალზე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ანტისახელმწიფოებრივი აქტივობები განახორციელეს. ისინი პირდაპირ ეწეოდნენ წინასაარჩევნო აგიტაციას, არიგებდნენ პარტიის ბროშურებს და გასცემდნენ საარჩევნო დაპირებებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთობლივი შეხვედრები გამართეს, მმართველი პარტიის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდის საწარმოებლად. აგრეთვე, „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“ განაგრძობს ხელისუფლების საწინააღდეგო შინაარსის მასალების სოციალურ ქსელში განთავსებას, რაც ადასტურებს, თუ როგორ იყენებენ ორგანიზაციები უცხოურ დაფინანსებას „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

- ბრიფინგი გამართა ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა რაჟდენ კუპრაშვილმაც, რომელმაც NDI-ისა და IRI-ის მოუწოდა, გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია გაესაჯაროებინა, რათა „დაფინანსებული ღონისძიებები არ იყოს გამოყენებული პარტიების მხარდასაჭერად.“
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი კირცხალიამ აგრეთვე **დაადანაშაულა ვაშინგტონი NED-ის გამოყენებაში, რათა არასასურველ მთავრობებს პრობლემა შეუქმნას და გადატრიალებები მოაწყოს.** დეპუტატის განცხადებით, სტივენ კინზერი, The რევოლუციის მოწყობა იყო, როდესაც ISFED-მა „პარალელური დათვლის შედეგები გააყალბა, რათა სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო,“ ან „კანვასის ტრენინგები“ ჩატარდა, რომელზეც ახალგაზრდებს რევოლუციის მოწყობაში ატრენინგებდნენ.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, **საპარლამენტო არჩევნები უპრეცედენტო და უხეში საგარეო ჩარევის ფონზე ჩატარდება.** მორიგ განცხადებაში მან „აგენტების“ საქართველოს ხელისუფლებაში მოსაყვანად. იმ გარე ძალებს, რომლებმაც პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებზე. „ახლა იგივე ძალები გვეუბნებიან, რომ საქართველოს ევროპული მომავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შედგეს, თუ ხელისუფლებაში ეს ანტიევროპული პოლიტიკური ძალა, უცხოური აგენტურა დაბრუნდება,“ - აღნიშნა კობახიძემ.

- შალვა პაპუაშვილმა **საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას „ამერიკელი და ევროპელი დონორების მიერ გამოძერწილი ფრანკენშტეინის მონსტრი უწოდა.“** ამასთანავე, დონორები ვერ ამჩნევენ, რომ „ხელოვნური სამოქალაქო საზოგადოება“ ქართველი ხალხის ინტერესებსა და საჭიროებებს არ ასახავს. მორიგ განცხადებაში პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ **ზოგიერთი დონორი პირდაპირ ზემოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომ რეგისტრაცია არ გაიარონ** „გამჭვირვალობის კანონით“ გათვალისწინებულ რეესტრში. თუ ისინი დარეგისტრირდებიან და დაფინანსების გამჭვირვალობას უზრუნველყოფენ, დონორები დაფინანსების შეწყვეტით ემუქრებიან. „ვხედავთ, რომ თურმე, ბევრი ჰქონია დასამალი ზოგიერთ დონორს და ზოგიერთ NGO-ს, რომ ასეთ რაღაცებზეც მიდიან, რომ ოღონდ არ თქვან რა ფულს იღებენ და რაში ხარჯავენ,“ - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

- კახა კალაძის შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებს შორის არანაირი ზღვარი არ არსებობს. თბილისის მერის მტკიცებით, ოპოზიციური პარტიები ორგანიზაციების მეშვეობით ფინანსდებიან, რაც **საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში უხეში ჩარევაა.** „ჩვენი მხრიდან მოჰყვება ყოველთვის რეაგირება," - აღნიშნა კალაძემ.
- მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე, გურიაში, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების შანსიც კი არ აქვს და უცხო ძალის ჩარევაზეა დამოკიდებული. განმარტების გარეშე, თუ რას გულისხმობდა „ჩარევის მცდელობებში", მდინარაძემ შეკრებილი ამომრჩევლები დაარწმუნა, რომ „ნებისმიერი მსგავსი მოქმედება" მათი აგენტობის დამამტკიცებელი კიდევ ერთი საბუთია.

„ქართული ოცნება" ამბობს, რომ აშშ-თან კავშირები მაშინ აღდგება, როდესაც ვაშინგტონი რევოლუციის მოწყობის მცდელობებს შეწყვეტს

ივლისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა დააანონსა, რომ, საქართველოს ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ქმედებებიდან და მცდარი განცხადებებიდან გამომდინარე, რომლებიც ევროკავშირისა და NATO-ს ნორმებთან შეუსაბამოა, აშშ აჩერებს საქართველოს მთავრობისთვის 95 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარების გამოყოფას.

აგვისტოს, რუსეთის საქართველოში შემოჭრის მე-16 წლისთავზე, ჯო ბაიდენმა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს წერილი გამოუგზავნა. წერილში აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა „ქართველი ხალხის მკაფიო ნება, რომელიც განაგრძობს თავისი ევროატლანტიკური მისწრაფებების გამოხატვას" და დააფიქსირა „იმედგაცრუება საქართველოს მთავრობის ანტიდემოკრატიული ქმედებებით, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს კრემლის სტილის „უცხოური აგენტების" კანონი და საქართველოს მთავრობის ოფიციალური პირების ცრუ განცხადებები."

სენატორი ჯინ შაჰინი და კონგრესმენი მაიკ ტერნერი საქართველოს ესტუმრნენ. ორპარტიული ვიზიტის ფარგლებში, ისინი შეხვდნენ პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. 11 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე, აშშ-ის წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოხატეს აშშ-საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვეს, რომ კავშირების გასაუმჯობესებლად აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა. სენატორმა შაჰინმა იმედგაცრუება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებითაც, რომ ბიძინა ივანიშვილმა აშშ-ის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

- სენატორ ჯინ შაჰინთან და კონგრესმენ მაიკ ტერნერთან შეხვედრის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განმარტა, რომ მკაფიოდ აუხსნა კოლეგებს, თუ როგორ ხედავს „ქართული ოცნება" ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვას. **პრემიერ-მინისტრის შეფასებით, აშშ-მა აღარ უნდა უნდა აწარმოოს ის პროცესები, რომლებსაც გასული ოთხი წლის განმავლობაში იყენებდა [იგულისხმება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები]**, რომლებმაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ხელოვნურად გაამწვავა.

- მორიგ განცხადებაში კობახიძე ირწმუნებოდა, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში, აშშ-ს არცერთი ომი არ ჰქონია: „ამ თვალსაზრისით სერიოზული მსგავსებაა ჩვენს ხელისუფლებასა და ტრამპის მმართველობას შორის.“ პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ **თუ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპი გაიმარჯვებს, უკრაინაში ომი მოსალოდნელზე მალე დასრულდება, რაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გაუმჯობესებას დააჩქარებს.** მმართველი პარტიის წევრები, მათ შორის ბიძინა ივანიშვილიც, ამტკიცებენ, რომ დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ვაშინგტონში საქართველოსადმი განწყობა შეიცვლება. სენატორი შაჰინისა და კონგრესმენი ტერნერის ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ აშშ-ის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ერთი და იგივე იქნება როგორც ბაიდენის, ისე - ტრამპის ადმინისტრაციაშიც. აქედან გამომდინარე, ცვლილება ნაკლებსავარაუდოა.
- მაიკ ტერნერზე საუბრისას, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ კონგრესმენის შესახებ „ბევრი არაფერი იცოდა“, თუმცა როდესაც „დაგუგლა“, აღმოაჩინა, რომ ტერნერს „ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ კონგრესმენადაც“ მოიხსენიებენ. „სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები ჩამოდიან და, რბილად რომ ვთქვა, ძალიან კრიტიკულად აფასებენ „ქართულ ოცნებას,“ - განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა. **მდინარაძის მტკიცებით, აშშ საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნითაა დაინტერესებული, თუმცა ეს ინტერესი მაშინ გაქრება, როდესაც უკრაინაში ომი დასრულდება,** რაც საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობებს დაალაგებს.
- „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ **აშშ-ის წარმომადგენლებმა აწარმოეს სიცრუის კამპანია კრემლის სტილის „უცხოური აგენტების“ კანონის შესახებ.** კალაძის შეფასებით, ამერიკელებმა ვერ წარადგინეს არგუმენტები, თუ რატომაა გამჭვირვალობა ცუდი; მათ მხოლოდ კრიტიკა გააჟღერეს, რაც აშშ-სა და საქართველოს შორის კავშირებს ჩიხში შეიყვანს.
- მოძრაობა „ხალხის ძალა“ ირწმუნება, რომ მოწოდებებს საქართველოს ომში ჩათრევისა და „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ დასავლელი მაღალჩინოსნები კვლავ აჟღერებენ. დასავლეთის უარგუმენტო კრიტიკას **ერთადერთი მიზანი აქვს - საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოს, „აგენტურა“ ძალაუფლებაში მოვიდეს და ქვეყანა ომში ჩაითრიოს.** აშშ-ისა და ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთებული კრიტიკული განცხადებები ძირითადად „გამჭვირვალობის კანონს“ შეეხებოდა, თუმცა როდესაც მსგავსი კანონი არაერთმა დასავლურმა სახელმწიფომ მიიღო, კრიტიკული განცხადება არავის გაუკეთებია. აღნიშნულის მიზეზი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრის მიზანმიმართული გეგმაა. „მანამ, სანამ საქართველოს მიმართ ჟღერდება დაუსაბუთებელი, უარგუმენტო კრიტიკა, ომის საფრთხე არსად წასულა, ... , ვალდებული ვართ, მაქსიმალურად ფრთხილად და გონივრულად ვიმოქმედოთ,” - აღნიშნულია განცხადებაში.

წლის აგვისტოს ომის შესახებ მმართველი პარტიის ნარატივი პროკრემლისტურ პროპაგანდას აძლიერებს

- პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტმა და „სოციალისტური საქართველოს“ ლიდერმა, წამყვანმა და 90-იან წლებში ყოფილმა დეპუტატმა, ვალერი კვარაცხელიამ არხის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ ეთერში, 2008 წლის ომთან დაკავშირებით კრემლის

ნარატივი გაიმეორა და განაცხადა, რომ **ქართული ჯარი „ცხინვალში არალეგალურად შეიჭრა, მოქალაქეები დაბომბა და რუსეთის „სამშვიდობო ძალები“ დახოცა.“** კვარაცხელია ირწმუნება, რომ ცხინვალზე თავდასხმის გადაწყვეტილება **აშშ-მა მიიღო, ხოლო სააკაშვილმა - შეასრულა.** აშშ-ისა და სააკაშვილის ქმედებებმა რუსეთს აიძულა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“ ეცნო.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში, პროპაგანდისტმა, რომელიც 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი ქმედებების აქტიური ორგანიზატორი იყო, აგრეთვე დაადანაშაულა სააკაშვილის ხელისუფლება - ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, საქართველოს სადაზვერვო სამსახური, დასავლეთის მორჩილებაში, რომელმაც საქართველო რუსეთის წინააღმდეგ კონფლიქტის დასაწყებად გამოიყენა. მან აგრეთვე გაიმეორა ტრადიციული ნარატივი, რომ **აშშ-მა საქართველოს ომის დროს მხოლოდ „პამპერსები და წყალი გამოუგზავნა“,** ანუ დასავლეთი არასაიმედო პარტნიორია. პროპაგანდისტმა ყურადღების მიღმა დატოვა ფაქტი, რომ აშშ-ის ჰუმანიტარული დახმარება სამხედრო გემების საშუალებით გამოგზავნა, რათა მოსკოვი გაეფრთხილებინა. იგივე პროპაგანდისტი, მმართველი პარტიისა და ვალერი კვარაცხელიას მსგავსად, ირწმუნებოდა, რომ **აშშ სააკაშვილს ზურგს უმაგრებდა და ომის დაწყებასთან დაკავშირებით პირდაპირ დავალებებს აძლევდა**, თუმცა დახმარების შესახებ ცრუ იმედები მისცა.

- მიხეილ ჟღენტი, პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ თავმჯდომარე, კონსპირირებდა, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ აშშ-მა დაგეგმა და განახორციელა, რადგან იმჟამინდელი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე, რუსეთთან კონფლიქტის ესკალაციაზე უარს ამბობდა.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში 2008 წელს რუსეთის საქართველოში შემოჭრა კიდევ ერთმა პროპაგანდისტმა დაუკავშირა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს. ნარატივის თანახმად, რესპუბლიკელ კანდიდატს ჯონ მაკკეინს პრეზიდენტ სააკაშვილთან ახლო კავშირები ჰქონდა. მაკკეინის საარჩევნო კამპანია ძირითადად საგარეო პოლიტიკაზე იყო ფოკუსირებული, ხოლო ბარაკ ობამას კამპანია შიდა პოლიტიკურ საკითხებს შეეხებოდა. **მაკკეინსა და რესპუბლიკურ პარტიას საქართველო-რუსეთის კონფლიქტი საკუთარი კამპანიისთვის სჭირდებოდათ** და სააკაშვილი ომი დააწყებინეს.

- ომის დაწყების ბრალდებით საქართველო დადანაშაულებულია პრორუსულ „Isari.ge-ზე“ გამოქვეყნებულ სტატიაშიც. ავტორის მტკიცებით, სააკაშვილისა და ჯონ მაკკეინის პარტნიორობა ომის დაწყების მიზეზი გახდა. **ქართული ძალები რომ ვაშინგტონის დავალებით თავს არ დასხმოდნენ ცხინვალსა და რუსულ სამშვიდობოებს, რუსული ტანკები არ შემოვიდოდნენ საქართველოში.**

პროკრემლისტური პროპაგანდა საუბრობს ევროკავშირის გეგმებზე, გამოიყენოს, არიოს და გაანადგუროს საქართველო

- „ალტ-ინფოს“ ეთერის სტუმარი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს მხრიდან დასავლეთის მორჩილება და ეროვნული ინტერესების დამცველთა დასჯა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აშშ-ის ინტერესებში შედის. **პროპაგანდისტმა „ქართული ოცნება“ გაკიცხა, რადგან პარტია ღიად არ ამბობს, რომ „გლობალური ომის პარტია“ სწორედ აშშ,**

ევროკავშირი და ერთიანი დასავლეთია, რომელიც საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნას ისახავს მიზნად.

- „ალტ-ინფოს“ მიმომხილველის, ალექსანდრე ფალავანდიშვილის მტკიცებით, **უკრაინა მაგალითია, თუ როგორ მყისიერად სრულდება პროდასავლური პოლიტიკა განადგურებით.** პროპაგანდისტის შეფასებით, დასავლეთი „ქართულ ოცნებასაც“ მოუწოდებდა „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ, რამაც მმართველ პარტიას უბიძგა, თანდათანობით ჩამოეშორებინა დასავლეთი, გაეკრიტიკებინა „გლობალისტური ძალები“ და გაეტარებინა ანტილიბერალური დღის წესრიგი.
- ევროკავშირი და „კოლექტიური დასავლეთი“ რუსეთის გარშემო ცეცხლის გახსნას ისახავენ მიზნად და საქართველოს რუსეთისა და ირანის წინააღმდეგ კონფლიქტში იყენებენ.
- ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანმა ნიკოლოზ მჟავანაძემ კვლავ განაცხადა, რომ **ევროკავშირი არასოდეს მიიღებს საქართველოს წევრ სახელმწიფოდ**, ტრადიციულ ნარატივზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც, თურქეთი წლებია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანაა, თუმცა წევრად არ იღებენ.
- აგრეთვე, მჟავანაძე ირწმუნებოდა, რომ **დასავლეთი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების არალეგიტიმურად გამოცხადებას აპირებს, რათა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოს.** პროპაგანდისტის თქმით, დასავლეთი უკრაინაში მებრძოლ ქართველებს საქართველოში ხელისუფლების მოსაშორებლად გამოიყენებს, რადგან ქართული ლეგიონი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის, ერთგულია.
- გურამ ფალავანდიშვილი ასევე ამტკიცებდა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ უმრავლესობის შენარჩუნების შემთხვევაში, დასავლეთი ოქტომბრის არჩევნების შედეგებს გაყალბებულად გამოაცხადებს, რაც შემდგომ მასობრივ არეულობას გამოიწვევს. ფალავანდიშვილი მაყურებლებს მოუწოდებდა, რომ ამ შემთხვევაში, **ხალხმა კონტრდემონსტრაცია უნდა დაგეგმოს, რათა „მაიდნის“ სცენარი აარიდოს ქვეყანას.**
- ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში, პროპაგანდისტის მტკიცებით, დასავლეთი საუბრობს, თუ როგორ ეხმარებოდა „ქართულ ოცნებას“ წლების განმავლობაში, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ არასამთავრობოებს, პოლიტიკურ პარტიებსა და თავისივე აგენტებს აფინანსებდა. **პროპაგანდისტის დასკვნით, დასავლეთი ქართულ ოპოზიციურ პარტიებს ადგენს და, აგრეთვე, მათი წინასაარჩევნო კამპანიების სათავეშია.**
- ყოფილი მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც 2008 წლის ომში რუსეთისთვის ჯაშუშობაში იყო მსჯავრდებული, ტრისტან წითელაშვილი და „ალტ-ინფოს“ ეთერში მიწვეული კიდევ ერთი პროპაგანდისტი ირწმუნებოდნენ, რომ **ევროკავშირის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის განკუთვნილი დაფინანსების სამოქალაქო საზოგადოებისკენ მიმართვის შესახებ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გაღვივების მიზანს ემსახურება,** რაც რევოლუციასა და „მეორე ფრონტის“ გახსნას გამოიწვევს.
- პაატა აბულაძე, პროპაგანდისტი, რომელიც ხშირად სტუმრობს პრორუსულ არხებს და აზიარებს დეზინფორმაციას Facebook-ის მეშვეობით, ამტკიცებდა, რომ **საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირსა და NATO-ში დაამძიმებს ქვეყნის ურთიერთობებს თურქეთთან, რუსეთთან და აზერბაიჯანსთან.** ევროკავშირი და NATO უკრაინაში რუსეთს ებრძვიან, 13 000 ბავშვისა და სხვა მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობის თანამონაწილენი არიან ღაზის სექტორში და დაბომბეს მართლმადიდებლური ტაძრები სერბეთში. აქედან გამომდინარე, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები რეგიონში ზემოაღნიშნული დასავლური სტრუქტურების შემოღწევას არ დაუშვებენ.

- იმავე პროპაგანდისტის თქმით, ევროპელები არასოდეს ყოფილან ქრისტიანები და რწმენას მხოლოდ საკუთარი მოქალაქეებისა და სხვა ქვეყნების გასაძარცვად იყენებდნენ.
- „ალტ-ინფოს“ ეთერში მიწვეული სტუმრის შეფასებით, 2013 წლის 17 მაისი და 2021 წლის 5 ივლისი (როდესაც ჰომოფობიური ჯგუფები ადამიანის უფლებათა აქტივისტებსა და ჟურნალისტებს დაესხნენ თავს) **გარყვნილების, ამორალობისა და უზნეობის დასავლურ პროპაგანდაზე გამარჯვების თარიღებია.**
- პრორუსული „საქინფორმის“ რედაქტორმა არნო ხიდირბეგიშვილმა მმართველი პარტიის სლოგანს „ღირსებით ევროპაში“ „ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებები“ უწოდა, რადგან **ღირსების - ოჯახისა და ქრისტიანობის - ქართული აღქმა შეუსაბამოა ევროპასთან,** ანუ ჰომოსექსუალი წყვილების, სქესის შეცვლის, „გეი აღლუმებისა“ და ლგბტ პროპაგანდის კულტურასთან.
- „GeWorld-ზე“ გამოქვეყნებულ სტატიაში დაგმობილია პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია მტკიცებით, რომ „ვერ ისწავლეს ფრანგებმა საკუთარ შეცდომებზე, ძალიან მალე დაივიწყეს „შარლი ებდოს“ რედაქციაში მომხდარი... ამ ოლიმპიადაზე იყო ტრანსვესტიტებისა თუ ტრანსგენდერების ზეიმი.“ სტატია სავსეა ჰომოფობიური რეპლიკებით და ავტორი ირწმუნება, რომ **ლგბტ პროპაგანდა, რომელსაც ევროპული ქვეყნები უჭერენ მხარს, ქართული იდენტობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.**

პროკრემლისტური ჯგუფები იმეორებენ მმართველი პარტიის ნარატივს, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებში აშშ-ს ადანაშაულებენ

- „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ არხის ეთერში ვალერი კვარაცხელიამ სენატორ ჯინ შაჰინისა და კონგრესმენ მაიკ ტერნერის ვიზიტზე ისაუბრა. **მმართველი პარტიის მსგავსად, კვარაცხელიამ, აშშ, „აგენტურის“ [იგულისხმება ქართული ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები] დაფინანსების მეშვეობით, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის რამდენიმე მცდელობაში დაადანაშაულა.** პროპაგანდისტის თქმით, ქვეყანაში განვითარებულ სამწუხარო პროცესებს - პოლიტიკურ კრიზისს, რუსულ ოკუპაციასა და პოლარიზაციას - აშშ ხელოვნურად ქმნის; ვაშინგტონის ჩარევა რომ არა, ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენები არ მოხდებოდა. კვარაცხელიას მტკიცებით, **სენატორ შაჰინისა და კონგრესმენ ტერნერის ვიზიტის მიზანი „ქართული ოცნების“ დარწმუნება იყო, რომ ხელისუფლებიდან გადამდგარიყო, რათა ვაშინგტონის აგენტები - „ენმ“ და მასთან დაახლოებული ჯგუფები - მოსულიყვნენ მთავრობაში.**
- „Isari.ge-ზე“ გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, სენატორმა შაჰინმა და კონგრესმენმა ტერნერმა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე გააფრთხილეს, რომ თუ მმართველი პარტია „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს არ გაიწვევს, **ვაშინგტონი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს არალეგიტიმურად გამოაცხადებს, რაც შემდეგ „ფერად რევოლუციასა“ და მთავრობის ცვლილებას გამოიწვევს.** სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ აშშ-მა უკვე სცადა მსგავსი სცენარის დაგემვა გასული ოთხი წლის განმავლობაში.
- ტრისტან წითელაშვილის მტკიცებით, აშშ-ის კონგრესმენები, ევროპარლამენტარები, თეთრი სახლი და ევროსაბჭო **ღიად აცხადებენ, რომ საქართველოში „მეორე მაიდანი“, ძალადობრივი რევოლუციაა საჭირო.**
- „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ პარტიის თავმჯდომარემ მიხეილ ჟღენტმა აშშ დაადანაშაულა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიაში, როდესაც საბჭოთა სამხედროებმა

საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გარეთ გამოსული მოქალაქეები ძალადობრივად დაარბიეს. ჟღენტის შეფასებით, იმჟამინდელი საბჭოთა ლიდერები სრულად აშშ-ის გავლენის ქვეშ იყვნენ. პროპაგანდისტმა აშშ-ს დააბრალა აფხაზეთის ომის მოვლენებიც. 1993 წელს სოჭის ხელშეკრულება დაიდო, რომლის ერთ-ერთი ხელმომწერიც, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, შეთანხმების პირობების შესრულების გარანტიას იძლეოდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ სამხედრო აღჭურვილობა და ჯარისკაცების ძირითადი ნაწილი სოხუმის ტერიტორიიდან გაიყვანა, ქალაქს სეპარატისტული ძალები დაესხნენ თავს და მისი ოკუპაცია მოახდინეს. მიუხედავად რუსული ჩარევისა, მიხეილ ჟღენტი კონსპირირებდა, რომ არა - რუსეთმა, არამედ აშშ-მა მოახდინა საქართველოზე ზეწოლა, გაეყვანა სამხედრო ძალები სოხუმიდან.

- „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე და ყოფილი დეპუტატი კახა კუკავა ირწმუნებოდა, რომ არსებობდა აფხაზეთის საქართველოში რეინტეგრაციის მშვიდობიანი ხელშეკრულება. თუმცა **აშშ-ს საელჩო საქართველოს მოუწოდებდა, უარი ეთქვა აღნიშნულ შეთანხმებაზე**, რადგან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემთხვევაში, აშშ ვეღარ გამოიყენებდა გამთლიანებულ საქართველოს გეოპოლიტიკურ იარაღად.
- „ალტ-ინფოს“ ეთერის სტუმარი კონსპირირებდა, რომ მსოფლიოს მასშტაბით კონფლიქტებს სწორედ „გლობალისტური აშშ“ აჩაღებს და დასავლეთ აფრიკაში „მაიმუნის ყვავილის ვირუსის“ გავრცელების უკანაც აშშ დგას.

პროკრემლისტური ჯგუფების მტკიცებით, რუსეთთან მოკავშირეობის გარეშე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია

- „ალტ-ინფოს“ გადაცემის თანაწამყვანის მტკიცებით, საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ერთია, ანუ **რუსეთს სურს, საქართველომ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს და განამტკიცოს თავდაცვა და ეკონომიკა.** აქედან გამომდინარე, ორ
- „ალტ-ინფოს“ სტუმრის თქმით, რუსეთმა გაიაზრა, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან თანაბარი და მეგობრული ურთიერთობები თავისივე ინტერესებისთვისაც უფრო მომგებიანია, ვიდრე აგრესია. პროპაგანდისტის შეფასებით, რუსეთი ხვდება, რომ საქართველოს სტაბილურ მოკავშირედ შენარჩუნებით უფრო ისარგებლებს. აქედან გამომდინარე, **მტკიცება, რომ რუსეთს საქართველოს დესტაბილიზაცია სურს, წბსურდულია.**
- მიხეილ ჟღენტი წერდა, რომ სანამ საქართველოს აშშ ჰყავს აფხაზებთან და ოსებთან ერთამავლად ჟენევის ხელშეკრულების ფორმატში, კონფლიქტის გადაჭრისკენ პროგრესი შეუძლებელია. **საქართველო დასავლეთს უნდა ჩამოშორდეს, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლი აღადგინოს.**
- ბრორუსული გადაცემის წამყვანმა ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ 2003 წელს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დასავლეთმა ჩამოაგდო, რათა ქვეყნის ტერიტორიული აღდგენისთვის ხელი შეეშალა, რადგან თუ ეს უკანასკნელი დასავლეთს საქართველოზე გავლენას დააკარგვინებდა. მან ხაზი გაუსვა, რომ თუ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნება სურს, რუსებთან, ოსებთან და აფხაზებთან უნდა დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკებები.

ოლაპარა

- გურამ ფალავანდიშვილის თქმით, **საქართველოს ამერიკელების ჩამოშორება და რუსეთთან მოკავშირეობა სჭირდება,** რადგან ეს ნაბიჯი აღადგენს ქვეყნის ეკონომიკას, ტრადიციულ ღირებულებებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობებს.
- პროკრემლისტმა პროპაგანდისტმა სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ **დროა, საქართველო დაეყრდნოს რუსეთს - ტრადიციული ღირებულებებისა და მართლმადიდებლობის ბურჯს** - რათა დაიწყოს მოძრაობა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეინტეგრაციისკენ.
- ვალერი კვარაცხელიას მტკიცებით, **საქართველოსა და რუსეთს შორის ისტორიული მეგობრობის ისტორიული მტრობით შეცვლა** აშშ-ის სპეცსამსახურების პროგრამა იყო. ის ირწმუნებოდა, რომ აშშ-მა ეს გეგმა შეასრულა და შედეგად, საქართველო დაიშალა და მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასარჩენად საზღვარგარეთ გაიქცა. **„საშველი რუსეთთან სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენასა და მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებაშია!“** - წერს კვარაცხელია.
- „ალტ-ინფოს“ ეთერში მიწვეული სტუმრის თქმით, საბჭოთა დროს, ფერმერები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს რუსეთში ყიდდნენ და თავს ასე ირჩენდნენ. თუმცა დღეს ადამიანები ღარიბდებიან, რასაც ისიც ადასტურებს, რომ სოციალურად დაუცველთა რიცხვი მინიმუმ 700 000-ია. **პროპაგანდისტმა რუსეთთან ურთიერთობები ეკონომიკური განვითარების წინაპირობად განიხილა.**